ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №265

29 სექტემბერი 2014 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი
სხდომის მოწვევის შესახებ

1. მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, მოწვეული იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

1.3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N72 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.6. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.7. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.8. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.9. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ახალი სასწავლო წლის მზადების შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან სიხარულიძე

1.10. სოციალურ დახმარებების გაცემაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ახობაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

ვიზირებულია,

იურისტი ედიშერ ჯიბუტი